

2012 წლისათვის საქართველოში მედვედვის ძიება დაიწყება?

გაზეთი “მთელი კვირა” – 7 ივნისი, № 147. 2010

ადგილობრივი არჩევნების შედეგები სახეზეა, ზოგი გახარებულია, ზოგს იმედი გაუცრუვდა, ხოლო კითხვები ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით არანაკლებია. რამდენად სამართლიანად ჩატარდა ეს არჩევნები „მთელი კვირა“ ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ თბილისის შესახებ, რადგან რეგიონებში რა ხდებოდა ეს ჩემი თვალით არ მინახია. თბილისში კი არჩევნები ჩატარდა მშვიდ ვითარებაში. მოქალაქეთა აქტიურობა უფრო დიდი იყო ვიდრე ბოლო საპრელამენტო არჩევნებში, თუმცა ქალაქისთვისაც და ქვეყნისთვისაც აჯობებდა, რომ უფრო მეტ ადამიანს მიეღო არჩევნებში მონაწილეობა.

„მთელი კვირა“: როგორ ფიქრობთ, რატომ არ გამოვიდნენ უფრო მეტი რაოდენობით ამომრჩევლები არჩევნებზე?

ლ.პ.: ის ადამიანები ვინც არჩევნებზე არ მოვიდა სამ ჯგუფად უნდა დავეოთ: პირველი ვისაც საერთოდ არ ანაღვლებს ქალაქის და ქვეყნის ბედი; ვისაც იმედი გადაეწურა, რომ ამ არჩევნებით რაიმე შეიცვლება და ვინც არის იმ პარტიების მხარდამჭერი, რომელიც ამ არჩევნებში არ მონაწილეობდნენ.

„მ.კ.“: თქვენ თვლით, რომ არჩევნები სამართლიანი იყო?

ლ.პ.: რა თქმა უნდა არა. ჯერ ერთი ამომრჩეველთა სიები იყო აშკარად გაბერილი, ხოლო მეორე ხელისუფლებას არც დაუმაღავს, რომ ინტენსიურად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს. არჩევნების დღეს თბილისელებმა თვალნათლივ დავინახეთ როგორ იყვნენ დაგეშილები საარჩევნო უბნებთან „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი ქალბატონები სიებით ხელში, რომ არჩევნებზე მიეყვანათ ის ამომრჩევლები რომლებმაც პირობა მისცეს, რომ 5 ნომერს შემოხაზავდნენ.

„მ.კ.“ ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს კანონდარდევვა არ არის?

ლ.პ.: თუ იურისტებს დაუფჯერებთ ფორმალურად კანონი არ დარღვეულა, მაგრამ რეალურად ამ აქტივისტი ქალბატონების ქსელის საშუალებით მოხერხდა შეჭირვებული ადამიანების მოსყიდვა, ზოგის დაშინებით, რომ ისინი ან მისი ახლობლები სამსახურს დაკარგავდა, ან დაპირებებით, რომ სამსახურს მისცემდა, ან უბრალოდ ამ გაუბედურებულ ხალხს მისცეს ფული. ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რატომ აწყობს ხელისუფლებას გაჭირვებული და დაშინებული ადამიანი. ასეთი კატეგორიის ხალხი ადვილი და იაფი სამართავია. ამიტომ ძვირფასო მკითხველებო ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ 2008 წელს აღებული ვალდებულება, რომ საქართველოში სიღარიბე შემცირდეს თავად ხელისუფლებას არ აწყობს: თუ ღარიბთა რიცხვი შემცირდა, მაშინ ხომ მოსასყიდი და დასაშინებელიც ნაკლები იქნება. ხოლო სულ რაღაც ორ წელიწადში საპრალმენტო არჩევნები გველის, შემდეგ კი საპრეზიდენტო.

„მ.კ.“: თქვენ არაერთხელ დააფიქსირეთ პოზიცია იმის შესახებ, რომ არჩევნებში არმონაწილე ოპოზიციურ პარტიებსაც არ აწყობდათ ოპოზიციური კანდიდატის მერად გახდომა.

ლ.პ.: ეს ლოგიკურად ასეა. თბილისის არჩეულ მერს ბუნებრივია უჩნდება საპრეზიდენტო ამბიციები და რაში სჭირდებათ არჩევნებში არმონაწილე ოპოზიციონერებს არახელისუფლებასთან დაპირისპირება. ხელისუფლებამ ბოლო რ წლის განმავლობაში ხომ იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ მის წინააღმდეგ გალაშქრება ბევრად უფრო მომგებიანია და თანაც საკმაოდ ადვილიც.

„მ.კ.“ ერთი უხერხული შეკითხვა მინდა დაგისვით. გაზეთ „ახალ თაობაში“ თქვენ რამოდენიმე ოპოზიციონერი კანდიდატი დაადანაშაულებთ იმაში, რომ მათ ხმები წაართვეს ალასანიას. ეს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერშიც გაიმეორეთ. გაზეთ „ალიას“ ფურცლებიდან კი ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან ვეფხვაძემ ბრალი დადგდოთ იმაში, რომ თურმე თქვენი დამსახურება ყოფილა გიორგი ჭანტურიას დამარცხება. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

ლ.პ.: დავიწყოთ იმით, რომ ამ არჩევნების შედეგებმაც აჩვენა, რომ ოპოზიციურ სექტორში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ირაკლი

აღასანიამ მიიღო. აქედან კი ძალიან მარტივად გამოდის ის, რომ თუ სხვა ოპოზიციური სახელის მქონე კანდიდატები არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, მაშინ ირაკლი ალასანია ბევრად უფრო მეტ ხმას მიიღებდა, თუმცა გამარჯვებული ალბათ მაინც გიგი უგულავა დარჩებოდა. მაგრამ საერთაშორისო დამკვირვებლებისთვისაც და ქართველი ამომრჩევლებისთვისაც აშკარა იქნებოდა, რომ ოპოზიციური ძალა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ამ არჩევნების შედეგებმა უჩვენა.

რაც შეეხება ჩემს დადანაშაულებას იმაში, რომ თურმე მე დამიმარცხებია ბატონი გია ჭანტურია, ეს ვფიქრობ მკითხველისთვისაც ნათელია, რომ ლაღო პაპავას ძალების ზედმეტად გადაჭარბებული შეფასებაა. თანაც როგორ უნდა დამემარცხებინა ბატონი გია ჭანტურია, როდესაც მე თვითონ არ ვიყრიდი კენჭს ქალაქ თბილისის მერად (თქვენ წარმოიდგინეთ კენჭი რომ მეყარა მაშინა რას დამაბრალებდნენ) და თანაც არც ბატონი გიორგი აპირებდად თურმე გამარჯვებას, რაც იქიდან გამოჩნდა, რომ წინასწარჩვენო კამპანიის დროს ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ არის პოლიტიკოსი, ხოლო არჩევნების შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ არ აპირებს პოლიტიკაში დარჩენას და მზადაა ითანამშრომლოს გამარჯვებულ უგულავასთან. ეს მაშინ, როცა ქალბატონი ინგა გრიგოლია, რომელსაც პიროვნულად დიდ პატივს ვცემ, პოლიტიკაში ჩართვის დღიდან იმუქრება, რომ საკრებულოში ხელისუფლების უმწვავესი ოპოზიცია იქნება. ახლა თუ შეიძლება ამიხსენით, ქრისტიან-დემოკრატები და მათი მერობის კანდიდატი ხელისუფლების ოპოზიციაა თუ მასთან თანამშრომლობის მსურველი ძალა?

სანამ ბატონ ლევან ვეფხვაძის აშკარად შეურაცმყოფელი განცხადებები გაკეთდებოდა ჩემს მისამართით არც ბატონმა გია ჭანტურიამ გამოავლინა თავის თავი როგორც ზრდილობიანმა და დარბაისელმა პიროვნებამ. ერთსაც და მეორესაც მინდა შევახსენო, რომ ცხოვრება არც არჩევნებით და არც პოლიტიკაში ყოფნით არ სრულდება და ისეთი რამე არ უნდა იკადრო, რომ ხვალ თვალებში შეხედვის შეგრცხვეს. თუმცა ალბათ მე მათი ზრდილობის მასწავლებლად ვერ გამოვდგები - უკვე გვიანია...

ამავდროულად მინდა კიდევ ერთხელ დაგუდასტურო ჩემი პიროვნული პატივისცემა ბატონ გოგი თოფაძეს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ასევე არ მოეწონა ჩემი მოსაზრებები, თუმცა არც საკუთარ თავს მისცა იმის უფლება ისეთი შეფასება გაეკეთებინა მის პიროვნებას რომ არ ეკადრება. ასე, რომ ღირსება მაინც უფრო ძნელი შესანარჩუნებელია და ამიტომ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე პოლიტიკოსობა, მით უფრო მაშინ, როცა ქრისტიან-კომკავშირელის მიდრეკილებებს ავლენ. ეს, რა თქმა უნდა, ყველა ქრისტიან-დემოკრატიულ ნამდვილად არ ითქმის, რადგანაც მათ შორისაც არის არაერთ ღირსეული პიროვნება...

„მ.კ.“ როგორ ხედავთ საქართველოს უახლოეს მომავალს?

ლ.პ.: ყველაზე მძიმე „ნაციონალური მოძრაობისთვის“ იქნება 2012 წელი, როცა უნდა გამოიკვეთოს მიხეილ სააკაშვილის მომავლის კონტურები და ამ დროისთვის უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს სახელმწიფოს მომავლის მოდელი. დიდია ალბათობა, რომ თბილისი დაადგეს მოსკოვის გზას და შეირჩეს ქართველი მედვედევი, შესუსტებული საპრეზიდენტო ფუნქციებით, რომ ხელი არ შეეშალოს გაზრდილი საპრემიერმინისტრო ფუნქციების მქონე სააკაშვილს. სწორედ ამ კონსტიტუციურ სქემაზე მუშაობს საკონსტიტუციო კომისია. იმის გათვალისწინებით, რომ ნაციონალური მოძრაობა, ისევე როგორც მოქალაქეთა კავშირი თუ მრგვალი მაგიდა არ არის პარტია და ის ერთ კაცზეა ჩამოკიდებული, ამიტომ ამ ერთი კაცის მომავალი შეიძლება გახდეს შიდაპარტიული დაპირისპირების სერიოზული მიზეზი. სწორედ ეს შეიძლება გახდეს ნაციონალური მოძრაობის დასუსტების საფუძველი და ამით აუცილებლად უნდა ისარგებლოს ოპოზიციამ.

„მ.კ.“ ოპოზიციაში თუ ხედავთ რაიმე ნაკლს?

ლ.პ.: რა თქმა უნდა, ოპოზიცია დღეს გამოირჩევა ურთიერთდაპირისპირებულობით და სწორედ ამიტომ ის ამომრჩევლისათვის რჩება როგორც არაკონსტრუქციული ძალა.

„მ.კ.“ როგორ ფიქრობთ, ირაკლი ალასანიას შეცდომები არ დაუშვია?

ლ.პ.: რა თქმა უნდა დაუშვა. მაგალითად შეცდომა იყო ნოღაიდელთან მისვლა, ხოლო არჩევნების შეფასება როგორც დემოკრატიის მიმართულებით

წინგადადგმული ნაბიჯი უბრალოდ გაუგებრობაა. ბატონ ალასანიას აშკარად აკლია წინასარჩევნო კამპანიის წარმართვის გამოცდილება. თუ ეს არჩევნები მას რაიმეს ასწავლის ეს მისთვის და ქვეყნისთვისაც კარგი იქნება.

„მ.კ“ რას ურჩევდით ოპოზიციას?

ლ.პ: უწინარეს ყოვლისა პირადი ამბიციების მოთოკვას, თუმცა ვიცი ეს ძნელი გასაკეთებელია.

ია აბულაშვილი